

კანაფის შეძენა, მოხმარება ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ევროპის ქვეყნებში

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას საერთაშორისო სამართალი არეგულირებს გაეროს სამი კონვენციის მეშვეობით: 1961 წლის კონვენცია ნარკოტიკების შესახებ, 1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ და 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ტრეფიკინგის შესახებ.

კანაფი კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებაა. კანაფის ექსტრაქტები - მარიხუანა, ჰაშიში და კანაფის ზეთი, კლასიფიცირებული ნარკოტიკული საშუალებებია, რომლებიც შეტანილია 1961 წლის გაეროს ნარკოტიკების შესახებ კონვენციის I და IV ჯგუფში. ტეტრაჰიდროკანაბიოლი (THC) - კანაფის შემადგენელი ქიმიური ნივთიერება კლასიფიცირებულია, როგორც ფსიქოტროპული ნივთიერება და შეტანილია გაეროს 1971 წლის კონვენციის ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ I და II ჯგუფში.

დღესდღეობით ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და ქონა (შენახვა) პირადი მოხმარებისთვის ფართო განხილვის საგანია. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ცდილობენ გაატარონ ღონისძიებები, რათა არ მოხდეს კანაფის მოხმარების პოპულარიზაცია. ამ პროცესში მნიშვნელოვანია აქტიური კომუნიკაცია კანაფის მოხმარებლებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან, მათთვის ინფორმაციის მიაწოდება, თუ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს კანაფის მოხმარებამ, ასევე მათი მშობლების, მასწავლებლების, პოლიციის ოფიცრების, ციხის პერსონალის დატრენინგება და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში სხვადასხვა სამართლებრივი მიდგომა არსებობს კანაფის მოხმარების მიმართ, საერთო ტენდენციებიც იკვეთება. მაგალითად, ბევრმა ქვეყანამ კანაფი გამოყო სხვა ნარკოტიკული საშუალებებისგან, ასევე, კანაფის მცირე ოდენობით მოხმარებისა და ქონისთვის, გასაღების მიზნის გარეშე, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად გამოიყენება ალტერნატიული სანქციები, როგორცაა გაფრთხილება, ჯარიმა, პირობით ვადამდე გათავისუფლება და სპეციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა. გარკვეული ქვეყნების კანონმდებლობა კი კანაფის მცირე ოდენობით მოხმარებას და ქონას პირადი მოხმარებისთვის სისხლის სამართლის დანაშაულად არ განიხილავს.

ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ისჯება ადმინისტრაციული სანქციებით.

კანაფის მოხმარება და ქონა პირადი მოხმარებისთვის ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და სანქციები

ბელგია

2003 წლიდან ბელგიის კანონმდებლობით 3 გრამი კანაფის ან კანაფის ფისის მოხმარება ან ქონა პირადი მოხმარებისთვის ისჯება საპოლიციო ჯარიმით 75 ევროდან 125 ევრომდე ოდენობით. პოლიცია დააფიქსირებს ფაქტს და ამოიღებს ნარკოტიკს. იგივე დანაშაულის მეორედ ჩადენის შემთხვევაში ერთი წლის განმავლობაში ჯარიმა იქნება 130 ევროდან 250 ევრომდე, ხოლო იგივე დანაშაულის მესამედ ჩადენის შემთხვევაში კი სანქცია იქნება პატიმრობა 8 დღიდან 1 თვემდე ვადით და ჯარიმა 250 ევროდან 500 ევრომდე ოდენობით. კანაფის ზეთი და ე.წ. კანაფის ნამცხვარი, თუნდაც მცირე ოდენობის, არ მიიჩნევა პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილად. თუ კანაფის მოხმარებას თან ახლავს დამამძიმებელი გარემოებები, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, მისი მოწევა არასრულწლოვნების წინაშე, სკოლასთან ან სამხედრო ყაზარმებთან ახლოს, სანქცია გაიზრდება და იქნება თავისუფლების აღკვეთა 3 თვიდან 1 წლამდე ვადით ან/და ჯარიმა 5000 ევროდან 500 000 ევრომდე. თუ არსებობს მტკიცებულება, რომ პირი კანაფზე დამოკიდებულია, მას ჩართავენ სპეციალურ თერაპიულ პროგრამაში.

ჩეხეთი

ჩეხეთში ნარკოტიკების მოხმარება არ არის სისხლის სამართლის დანაშაული. თუმცა პარლამენტმა შესწორება შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში და „დარღვევების შესახებ“ აქტში, რომელთა მიხედვით ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების არალეგალური ქონა სისხლის სამართლის დანაშაულია, თუ ის აღემატება „მცირე ოდენობას“. კანონში მცირე ოდენობა არ არის განსაზღვრული, ის მოცემულია პროკურატურის ინსტრუქციაში და პოლიცია და პროკურატურა ამ ინსტრუქციით ხელმძღვანელობს. მცირე ოდენობად ითვლება: მაქსიმუმ 15 გრამი მარიხუანა, 5 გრამი ჰაშიში, გრამ-ნახევარი ჰეროინი, ექსტაზის 4 აბი, კოკაინის 10 დოზა (50 მგ თითო) და 2 გრამი მეტამფეტამინი. თუ პოლიცია პირს დააკავებს და მას აღმოაჩნდება მცირე ოდენობის ნარკოტიკი მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის, პოლიცია საქმეს აგზავნის სპეციალურ საპოლიციო განყოფილებაში, რომელიც უფლებამოსილია გამოიყენოს ადმინისტრაციული ჯარიმა ან გაფრთხილება სამართალდამრღვევის მიმართ. ჯარიმა დამოკიდებულია ნარკოტიკის ოდენობაზე.

დანია

დანიის კანონმდებლობით ნარკოტიკების მოხმარება არ არის სისხლის სამართლის დანაშაული, მაგრამ ქონა, თუნდაც მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის, დანაშაულია. თუ პირი პირველად დააკავეს შენახვის ფაქტზე და მას აღმოაჩნდა, მაგალითად, 10 გრამამდე მარიხუანა, მას დაეკისრება ჯარიმა 260 ევროს ოდენობით ან შეიძლება მიიღოს გაფრთხილება. აღნიშნული დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ჯარიმა გაიზრდება და, თუ პირს აღმოაჩნდა დიდი ოდენობით ნარკოტიკი პირადი მოხმარებისთვის, სანქცია იქნება თავისუფლების აღკვეთა მაქსიმუმ 2 წლამდე ვადით.

გერმანია

გერმანიის კანონმდებლობით ნარკოტიკების მოხმარება არ არის სისხლის სამართლის დანაშაული. „ნარკოტიკების შესახებ“ აქტის მიხედვით, თუ პროკურორი დარწმუნდება, რომ

ადგილი აქვს მსუბუქ სამართალდარღვევას, ე.ი. პირს აღმოაჩნდა მცირე ოდენობის ნარკოტიკი პირადი მოხმარებისთვის, შეუძლია არ აღძრას საქმე. ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით არალეგალური ქონა სისხლის სამართლის დანაშაულია, თუმცა შეიძლება არ გამოიწვიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ: განკუთვნილია მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის; არ მიუყენებია ზიანი მესამე პირებისთვის; არ მომხდარა არასრულწლოვანთა ჩათრევა დანაშაულში.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ფედერაციული მიწების მთავრობებს შეუძლიათ ადგილობრივ დონეზე შეამცირონ სასჯელი კანაფის მცირე ოდენობით მოხმარებისთვის.

ესტონეთი

კანაფის მცირე ოდენობით შექენა, მოხმარება და ქონა პირადი მოხმარებისთვის მსუბუქი ხასიათის სამართალდარღვევად ითვლება და ისჯება საპოლიციო ჯარიმით ან 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობით. მცირე ოდენობად ითვლება 20 გრამამდე მარიხუანა ან 10 გრამამდე ჰაშიში.

საბერძნეთი

საბერძნეთის კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს *ნარკომანსა* და *მომხმარებელს*¹. ნარკოტიკის (მათ შორის, კანაფი) მოხმარებისა და ქონის ფაქტზე *მომხმარებლის* დაკავების შემთხვევაში, თუ პირს აღმოაჩნდა მცირე ოდენობა პირადი მოხმარებისთვის, გათვალისწინებულია პატიმრობა მინიმუმ 10 დღე, მაქსიმუმ 5 წელი ან/და ჯარიმა.

მოხმარება და ქონა არ ისჯება *ნარკომანის* დაკავების შემთხვევაში, თუ პირს აღმოაჩნდა მცირე ოდენობა პირადი მოხმარებისთვის. პირს ჩართავენ სარეაბილიტაციო პროგრამაში.

ესპანეთი

ესპანეთის კანონმდებლობა ნარკოტიკების მოხმარებას და ქონას პირადი მოხმარებისთვის არ მიიჩნევს სისხლის სამართლის დანაშაულად. თუმცა, ორგანული კანონის „მოქალაქეთა უსაფრთხოების“ მიხედვით, ნარკოტიკების მოხმარება საჯარო ადგილებში და ასევე ნარკოტიკული საშუალების არალეგალური შენახვა, თუნდაც გასაღების მიზნის გარეშე ისჯება ადმინისტრაციული ჯარიმით, რომელიც მერყეობს 300 ევროდან 30 000 ევრომდე. სასამართლო პრაქტიკის თანახმად დასჯადია 40 გრამზე მეტი ჰაშიშის შენახვა.

საფრანგეთი

საფრანგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კოდექსი ნარკოტიკების მოხმარებას როგორც საჯარო, ისე პრივატულ ადგილებში, სამართალდარღვევად მიიჩნევს და ითვალისწინებს

¹ პირი, რომელიც ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებას, მაგრამ მის მიმართ ჩამოყალიბებული არა აქვს ფსიქიკური ან/და ფიზიკური დამოკიდებულება.

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ვადით და ჯარიმას 3 000 ევრომდე ოდენობით. თუმცა იუსტიციის მინისტრის დირექტივა რეკომენდაციას აძლევს პროკურორებს, რომ განასხვავონ ერთმანეთისგან მძიმე და მსუბუქი ნარკოტიკული დანაშაულები და სანქციის შერჩევას, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხება ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირს, უპირატესობა მიანიჭონ სარეაბილიტაციო/თერაპიულ პროგრამებში მათ ჩართვას და არა პატიმრობას. დღესდღეობით პრაქტიკაში ნარკოტიკების მოხმარებისთვის მცირე ოდენობით, ალტერნატიული სანქციების დიდი არჩევანია. ალტერნატიული სანქციის სახით გამოიყენება თერაპიულ/საინფორმაციო პროგრამაში ჩართვა, გაფრთხილება, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს მოთხოვნა რომ პირმა კონტაქტი იქონიოს სოციალურ ან ჯანმრთელობის დაცვის სამსახურთან, ასევე პირს შეიძლება დაეკისროს საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება ანაზღაურების გარეშე. ნარკოტიკების მოხმარებისთვის თავისუფლების აღკვეთა რჩება, როგორც ერთ-ერთი სასჯელი, თუმცა იშვიათად გამოიყენება. ნარკოტიკების არალეგალური შენახვა სისხლის სამართლის დანაშაულია. კანონი არ ასხვავებს შენახვას გასაღების მიზნით და გასაღების მიზნის გარეშე, თუმცა პრაქტიკაში ეს დამოკიდებულია პროკურორზე, ნარკოტიკული საშუალების ოდენობისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

იტალია

იტალიის კანონმდებლობით ნარკოტიკების მოხმარება არ არის მიჩნეული სისხლის სამართლის დანაშაულად, ხოლო ნარკოტიკული საშუალებების ქონა პირადი მოხმარების მიზნით ისჯება ადმინისტრაციული სანქციებით. თუ პირი დაკავებული იქნა მარიხუანასა და ჰაშიშის ქონის ფაქტზე პირადი მოხმარებისთვის, პოლიციის პრეფექტთან გასაუბრების შემდეგ, თუ დათანხმდება, რომ მომავალში თავს შეიკავებს ნარკოტიკების მოხმარებისგან, პირველი დაკავებისას მიიღებს მხოლოდ გაფრთხილებას. განმეორების შემთხვევაში პირს დაეკისრება ადმინისტრაციული სანქციები, მაგალითად, მართვის მოწმობის, იარაღის ტარების უფლების ან პასპორტის დროებითი ჩამორთმევა. ასევე პირი შეიძლება ჩართონ სარეაბილიტაციო პროგრამაში. თუ ნარკოტიკების მოხმარებელი დატოვებს პროგრამას საპატიო მიზეზის გარეშე, პირველად მიიღებს გაფრთხილებას, ხოლო განმეორების შემთხვევაში მისი საქმე გადაიგზავნება პროკურორთან. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი სახის სანქციები: საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვა ნებართვის გარეშე; პოლიციაში გამოცხადება კვირაში სულ ცოტა ორჯერ; პირს შეიძლება დაუწესდეს კომენდანტის საათი; გარკვეული ადგილების მონახულების აკრძალვა; მართვის მოწმობის ჩამორთმევა, საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება ანაზღაურების გარეშე და სხვ.

ირლანდია

ირლანდიის კანონმდებლობა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას, დანაშაულად არ მიიჩნევს (გარდა გარკვეული ქმედებებისა, რაც დაკავშირებულია ოპიუმის მოსაწევად მომზადებასთან), თუმცა ნარკოტიკების შესახებ აქტის მიხედვით კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკების არალეგალური ქონა შესაბამისი ნებართვის გარეშე სისხლის სამართლის დანაშაულია. პირადი მოხმარებისთვის კანაფისა და კანაფის ფისის ქონის პირველი და მეორე შემთხვევა ისჯება ჯარიმით მაქსიმუმ 1000 ფუნტამდე (დაახლოებით 1360 ევრო);

ხოლო მესამე და დანარჩენი შემთხვევები ისჯება ჯარიმით 1000 ფუნტის ოდენობით ან თავისუფლების აღკვეთით მაქსიმუმ 3 წლამდე ან სასჯელის ორივე სახე გამოიყენება ერთდროულად.

ლიტვა

ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობით ქონა პირადი მოხმარებისთვის მსუბუქი ხასიათის სამართალდარღვევაა და ისჯება ჯარიმით 1000 ლიტის ოდენობით (დაახლოებით 290 ევრო) ან ადმინისტრაციული პატიმრობით 10 დღიდან 45 დღემდე ან თავისუფლების შეზღუდვით 3 თვიდან 2 წლამდე. თუ პირი ნარკოტიკებზე დამოკიდებულია, სასამართლო, როგორც წესი, პატიმრობის ნაცვლად უწესებს სარეაბილიტაციო/თერაპიულ პროგრამაში ჩართვას. მცირე ოდენობად ითვლება 5 გრამამდე კანაფის მცენარე და 0.25 გრამი კანაფის ფისი.

ლატვია

მცირე ოდენობის (5 გრამამდე კანაფის მცენარე, 1 გრამამდე გამომშრალი კანაფის მცენარე და 0.1 გ კანაფის ფისი) კანაფის ქონა ან მოხმარება ადმინისტრაციული ხასიათის დარღვევაა და ისჯება ჯარიმით 130 ევროს ოდენობით ან 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობით. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა გასაღების მიზნის გარეშე ისჯება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ისჯება ადმინისტრაციული სანქციებით.

ნიდერლანდები

ნიდერლანდების კანონმდებლობით ნარკოტიკების მოხმარება სისხლის სამართლის დანაშაული არ არის, თუმცა არის გარემოებები, როდესაც მოხმარება ისჯება, მაგალითად, თუ მოხმარებას ადგილი ჰქონდა სკოლასთან ახლოს ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში. კონტროლს დაქვემდებარებული ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური ქონა სისხლის სამართლის დანაშაულია. 30 გრამამდე კანაფის ქონა ისჯება ერთ თვემდე პატიმრობით ან ჯარიმით 3350 ევრომდე. 5 გრამამდე კანაფის ქონა პირადი მოხმარებისთვის, როგორც წესი, არ ისჯება. ასევე არ ისჯება 5 გრამამდე კანაფის შეძენა ე.წ. „კოფიშოპში“ (coffee shop)², იმ შემთხვევაში, თუ კანაფის შეძენას ადგილი ჰქონდა ერთ კონკრეტულ კოფიშოპში ერთ დღეს. კოფიშოპში კანაფის გაყიდვა, თუნდაც მცირე ოდენობით, სამართალდარღვევაა, მაგრამ პროკურატურა საქმეს აღძრავს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მაღაზიის მეპატრონე არ იცავს პროკურატურის მიერ დადგენილ წესებს. მაგალითად, მაღაზიას არ შეიძლება ჰქონდეს 500 გრამზე მეტი კანაფი და ერთ პირზე არ შეიძლება 5 გრამზე მეტის მიყიდვა და სხვ.

პორტუგალია

² ე.წ. „კოფიშოპი“, სადაც კანაფის გაყიდვა მცირე ოდენობით ნებადართულია.

თუ პირი დაკავებული იქნა კანონით განსაზღვრული ოდენობის ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალებით (ნარკოტიკული საშუალების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი პირისთვის განკუთვნილ 10 დღის დოზას, მაგალითად 25 გრამამდე მარიხუანასა და 5 გრამამდე ჰაშიშს), და თუ პოლიცია დარწმუნდება, რომ ნარკოტიკი განკუთვნილია მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის, პოლიცია ამოიღებს ნარკოტიკულ საშუალებას და საქმეს აგზავნის სპეციალურ კომისიაში (**Commission for Dissuasion of Drug Dependence**), რომლის შემადგენლობაშიც შედიან იურისტი, ექიმი და სოციალური მუშაკი. კომისია ხვდება ნარკოტიკების მომხმარებელს, რათა შეაფასოს მისი მდგომარეობა და გაუწიოს მას შემდგომი დახმარება.

ფინეთი

კანაფის შეძენა, მოხმარება ან ქონა სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება ჯარიმით ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. მცირე ოდენობით კანაფის არალეგალური ქონა პირადი მოხმარებისთვის ისჯება ჯარიმით ან 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთით. ასეთ შემთხვევებში პოლიცია, როგორც წესი, აჯარიმებს ნარკოტიკების მომხმარებელს და საქმე არ მიდის სასამართლოში, თუ თავად დაკავებულმა არ მოითხოვა.

შვედეთი

„ნარკოტიკული საშუალებების“ აქტის მიხედვით, ნარკოტიკული დანაშაულები სამ კატეგორიად იყოფა: მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი. ნარკოტიკული საშუალებების (მათ შორის, კანაფის) მოხმარება ან ქონა პირადი მოხმარებისთვის მსუბუქი ხასიათის სამართალდარღვევაა და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 6 თვემდე, თუმცა პრაქტიკაში უმეტესად გამოიყენება ჯარიმა, ასევე მოსამართლეს შეუძლია თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად დანიშნოს პირობითი მსჯავრი, თუ საქმის გარემოებები ამის საშუალებას იძლევა.

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა ნარკოტიკების მოხმარებას დანაშაულად არ მიიჩნევს. სისხლის სამართლის დანაშაულია ნარკოტიკების არალეგალური ქონა. მიუხედავად იმისა, რომ „ნარკოტიკების არასწორი გამოყენების“ აქტის მიხედვით, ოპიუმის მოწვევა აკრძალულია, საქმის აღძვრა იშვიათად ხდება. კანონი განასხვავებს ერთმანეთისგან ქონას პირადი მოხმარებისთვის და გასაღების მიზნით.

კანაფის მოხმარება ან ქონა პირადი მოხმარებისთვის გამოიწვევს გაფრთხილებას, ხოლო აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა დაჯარიმებას პოლიციის მიერ.

თუ საქმეს ახლავს დამამძიმებელი გარემოებები, მისი განხილვა მოხდება სასამართლოში. მაგისტრატი მოსამართლის მიერ მსაჯულების გარეშე საქმის განხილვის შემთხვევაში, B ჯგუფს მიკუთვნებული ნარკოტიკების (კანაფი, ამფეტამინი) მოხმარება ან ქონა პირადი მოხმარებისთვის ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 თვემდე ან ჯარიმით 2500 ფუნტის ოდენობით (დაახლოებით 3800 ევრო), Crown Court-ის (სასამართლო, რომელიც განიხილავს

სისხლის სამართლის საქმეებს) მიერ საქმის განხილვის შემთხვევაში კი - 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით, რომლის მაქსიმალური ოდენობა კანონით არ არის დადგენილი.

ზემოთ აღნიშნული დანაშაულებისთვის ასევე გათვალისწინებულია ალტერნატიული სანქციები, როგორცაა გაფრთხილება პოლიციის მიერ.

ხორვატია

ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა, გაფრთხილება ან სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვა. საზოგადოებრივი წესრიგის აქტის მიხედვით ნარკოტიკების მოხმარება საჯარო ადგილებში ისჯება ადმინისტრაციული ჯარიმით 55 ევროდან 200 ევრომდე ოდენობით. თუ სამართალდამრღვევი ნარკოტიკებზე დამოკიდებულია, მოსამართლე დანიშნავს სარეაბილიტაციო პროგრამის გავლას. ნარკოტიკების აქტის მიხედვით, არალეგალური ქონა ისჯება ადმინისტრაციული ჯარიმით 140 ევროდან 14 000 ევრომდე ოდენობით, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 1 წლამდე ვადით. ასევე ჯარიმით ისჯება გამოყენებული შპრიცებისა და ნემსების გადაცემა მეორე პირისთვის.

სისხლის სამართლის საპროცესო აქტი შესაძლებლობას აძლევს პროკურორს არ აღძრას საქმე ისეთი სამართალდარღვევის შემთხვევაში, რომლისთვისაც გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით. ეს შესაძლებელია, თუ სამართალდამრღვევი დათანხმდება გაიაროს სარეაბილიტაციო კურსი.

ნორვეგია

ნარკოტიკების მცირე ოდენობით მოხმარება და ქონა პირადი მოხმარებისთვის სისხლის სამართლის დანაშაულია. თუმცა 5 გრამამდე კანაფის მოხმარება ან ქონა პირადი მოხმარებისთვის არა სისხლის სამართლის კოდექსით არამედ „სამედიცინო პროდუქტების“ აქტით წესრიგდება და ისჯება ჯარიმით. იმავე აქტით კანაფის უფრო დიდი ოდენობით მოხმარება ან ქონა პირადი მოხმარებისთვის ან აღნიშნული დანაშაულის განმეორებით ჩადენა გამოიწვევს პატიმრობას 6 თვემდე ვადით. თუ ქონა დიდხანს გაგრძელდა დროში (კოდექსში არ არის მითითებული ხანგრძლივობა), მას შენახვის კვალიფიკაცია მიენიჭება და დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.

მასალა მოამზადა მაკა ბიბილაშვილმა

06.04.15

გამოყენებული წყაროები:

1. European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction



<http://www.emcdda.europa.eu/legal-topic-overviews/cannabis-possession-for-personal-use>

<http://www.emcdda.europa.eu/html.cfm/index5174EN.html?pluginMethod=eldd.countryprofiles&country=HR>

2. Misuse of Drugs Act, 1984 Ireland

<http://www.irishstatutebook.ie/1984/en/act/pub/0018/sec0006.html#sec6>

3. Narcotic Drugs Act Germany

http://www.bmg.bund.de/fileadmin/dateien/Downloads/Gesetze_und_Verordnungen/GuV/N/Narcotic_Drugs_18_12_2009.pdf

4. Misuse of Drugs Act 1971

<http://www.legislation.gov.uk/ukpga/1971/38/contents>

5. Criminal Codes

<http://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes>